დაცვის მექანიზმების კავშირი პათოლოგიურ პიროვნულ ნიშნებთან

კესო ჭურღულია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ კორინთელი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კესო ჭურღულია

25.06.2019.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია, დაადგინოს არსებობს თუ არა დაცვის მექანიზმებსა და პიროვნების პათოლოგიურ ნიშნებს შორის კავშირი; შესაძლებელია თუ არა დაცვის მექანიზმებზე დაყრდნობით პათოლოგიური პიროვნული ნიშნების არსებობის წინასწარმეტყველება და განსხვადება თუ არა სქესისა და ასაკის მიხედვით დაცვის მექანიზმების გამოყნების თავისებურებები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 45 წლამდე ასაკის 92-მა ადამიანმა. მათი შეფასება მოხდა ორი თვითაღწერითი ინსტრუმენტის - დაცვის სტილისა და პიროვნული კითხვარის საშუალებით, რომლებიც ნაშრომის ავტორის მიერ ითარგმნა ქართულ ენაზე. მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ არაადაპტური დაცვითი სტილი დადებითად არის დაკავშირებული პიროვნების პათოლოგიური ნიშნების 5 განზომილებიდან 4-თან; ნევროტული დაცვითი სტილი დადებითად არის დაკავშირებული პიროვნების პათოლოგიური ნიშნების 5-ვე განზომილებასთან; მოლოდინის საწინააღმდეგოდ, აღმოჩნდა, რომ ადაპტური დაცვითი სტილი დადებითად არის დაკავშირებული პათოლოგიური პიროვნული ნიშნების 2 განზომილებასთან. რაც შეეხება დაცვითი სტილის პრედიქტულ შესაძლებლობებს, არაადაპტური და ნევროტული დაცვითი სტილები აღმოჩნდნენ სუსტი პრედიქტორები პიროვნების პათოლოგიური ნიშნების 5 განზომილებიდან 4-თვის, მე-5-თვის კი კავშირი ვერ დადგინდა. ასევე, არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სქესისა და ასაკის მიხედვით დაცვის მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ შერჩევის საშუალო ქულა სტატისტიკურად უფრო მაღალია დადგენილ არაკლინიკურ ნორმებთან შედარებით დაცვის 3-ვე სტილის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევაში არ გამოვლენილა ძლიერი კავშირები, იგი მაინც იმეორებს ლიტერატურაში ნახსენებ შედეგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცვის მექანიზმები საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან პიროვნების ორგანიზაციის შესახებ. აქედან გამომდინარე, ისინი გათვალისწინებული უნდა იყვნენ პიროვნების შეფასებისას.

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს შერჩევის სიმცირე და მისი ჰომოგენურობა ასაკის მიხედვით. ამიტომაც, მისი შედეგების განზოგადება არ არის რეკომენდირებული. სასურველია კვლევის ჩატარება უფრო დიდ შერჩევაზე, რათა შედეგები იყოს პოპულაციის რეპრეზენტატული.

საკვანძო სიტყვები: დაცვის მექანიზმები, პიროვნება, პათოლოგიური პიროვნული ნიშნები, არაადაპტური, ნევროტული, ადაპტური.

Abstract

The purpose of this research is to determine if there is a connection between defense mechanisms and pathological personality traits; if there is a possibility to predict pathological personality traits relying on defense mechanisms; also if there is a difference in using defence mechanisms by age and sex.

The research was carried out among 92 people aged 18 to 45 years. Participants were assessed with 2 self-reported measures – Defense Style Quiestionaire and Personality Inventory, which were translated into Georgian language by the researcher.

The results revealed that maladaptive defense style is positively connected to 4 out of 5 pathological personality domains; neurotic defense style is positively connected to 5 out of 5 pathological personality domains; unexpectidely adaptive defense style was positively connected to 2 pathological personality domains. Defense styles occurred to be weak predictors of 4 out of 5 pathological personality domains; the connection to the 5th domain was not shown. Aslo there was no significant difference in using defense mechanisms by the age or sex.

Besides, it appeared that average points of the sample are significantly higher than the nonclinical norms for all of defense styles.

Although there are no strong connections revealed the research outcomes coincide with the results of other studies. Which means that the defense mechanisms provide an important

information about personality organization. That is why it should be considered when assessing personality.

Research limitations are small sample and its homogeneity by the age. So the generalization of the results is not recommended. It is preferable the future study to be carried out for bigger sample so as the results were representative of the population.

Key words: Defense mechanisms, personality, pathological personality traits, maladaptive, neurotic, adaptive

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ რევაზ კორინთელს გაწეული დახმარებისთვის. ასევე, კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს, თათია თურმანიძეს, ნაშრომში გამოყენებული საკვლევი ინსტრუმენტების ქართულ ენაზე ადაპტირებაში შეტანილი წვლილისთვის.